საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

18.01.2019

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;
ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:
გიორგი მათიაშვილი - რექტორი;
გელა ალადაშვილი - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ვაჟა ხუჭუა- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ;
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - ბიზნესის მართვის კათედრის გამგე, პროგრამის ხელმძღვანელი;
ამირან თავართქილაძე - ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრის გამგე, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნოდარ ბაგრატიონი - დაწესებულების პროფესორი.

შპს ახალი უმაღლეს სასწავლებლი:
თამარ გარდაფხაძე - რექტორი;
ნათია გოგოლური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თინათინ გაბრიჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თინათინ დოლიაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია:
თამარ ჩხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლეილა მარუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე,
რუსუდან თაყაიშვილი - მასწავლებლის მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ტოროშელიძე - მოწვეული პედაგოგი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
გოჩა თუთბერიძე;
თეა კასრაძე;
ბექა მარუაშვილი;
დავით ცირამუა;
ვასილ კიკუტაძე;
რომან მამულაძე;
დავით ქარცივაძე;
ირინა გოგონაია.

აკრედიტაციის საბჭოზე მოწვეული პირი - გიორგი თურქია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს

მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწვეული პირი - **გიორგი თურქია.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:
1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ახალი უმაღლეს სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საკითხების განხილვა ვერ მოხდებოდა, რადგან საბჭოს წევრთა თვითაცილებების გათვალისწინებით, საკითხის განხილვისთვის საჭირო ქვორუმი არ იქნებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხების განხილვა მომხდარიყო აკრედიტაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეცვლილი დღის წესრიგი.:

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ახალი უმაღლეს სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში, 020401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია ან ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდის სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას;
- პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება ზოგადად ორგანიზაციების (არა მხოლოდ ბანკების), გარე გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან (მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები:

- მონეტარული პოლიტიკა და საბანკო საქმის სამართლებრივი რეგულირება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი უნდა იქნას სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში ;
- მენეჯერული ეკონომიკა სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსების კომპონენტიდან უნდა გადავიდეს სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსების კომპონენტში
- საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან უნდა გადავიდეს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტში
- სასწავლო კურსის „ფინანსური რისკები და სადაზღვევო ბაზარი" ნაცვლად უნდა მოხდეს ფინანსური რისკების მართვის სწავლება, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება საბანკო-საკრედიტო რისკების მართვაზე
- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „პერსონალის სტრატეგიული მართვა";
- უსდ-მ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ისეთი თემატიკის შერჩევა, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას: „საბანკო-სავალუტო ოპერაციები" დაშვების წინაპირობა უნდა იყოს „საბანკო საქმე" და არა „გლობალური ბიზნესი". სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვას პროგრამაში წინაპირობა არ აქვს 5 მითითებული, სილაბუსით კი დაშვების წინაპირობას „საბანკო საქმე" წარმოადგენს, თუმცა ასევე უნდა იყოს წინაპირობად მითითებული „ბიზნესის კვლევის მეთოდები";
- უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლაც აუცილებელია საბანკო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის;
- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს და გამოყენებულ კვლევის მეთოდებს;
- უსდ-ს მიერ სასწავლო პრაქტიკის ობიექტები შეირჩეს იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით მხარდაჭერის გაძლიერება;
- საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით ესაუბრათ.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა, ამირან თავართქილაძემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბევრი რეკომენდაცია მისაღები იყო, თუმცა იყო რეკომენდაციები რომლებზეც უნდოდათ ახსნა-განმარტება გაეკეთებინათ.

დაწესებულება ეთანხმებოდა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტებში ცვლილებების განხორციელებას. კერძოდ, საბანკო საქმის სამართლებრივი რეგულირება იმიტომ

ჰქონდათ არჩევით კურსებში, რომ ქართული სახელმძღვანელო იმ დროისთვის არ არსებობდა, უნივერსიტეტის გრანტით მათივე პროფესორების მიერ შეიქმნა ქართული სახელმძღვანელო და გადაიტანეს სავალდებულო სასწავლო კურსში.

რაც შეეხებოდა დაშვების წინაპირობებს, საბანკო საქმესთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია მიიღეს და მომავალში გაასწორებდნენ. დარგის ექსპერტების მოწვევისა და საჯარო ლექციების ჩატარებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ნაკლი იყო, რომ შესაბამისად ვერ წარადგინეს ამ ნაწილში თავი, რადგან მათ ჰქონდათ საბანკო ასოციაციასთან ხელშეკრულება გაფორმებული და ყოველთვე რომელიმე დაწესებულების წარმომადგენელი საჯარო ლექციას ატარებდა მათთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ უნივერსიტეტს ჰქონდა სასწავლო ბანკი. ისაუბრა საბანკო საქმიანობის ელექტრონულ პროგრამაზე, რომელსაც მოიხმარდნენ ბანკები. უნივერსიტეტში ასწავლიდნენ ბანკ 2000, რომელიც ძველი იყო. ასევე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ალტასთან და ისინი იქნებოდნენ პირველები, რომლებიც მოახერხებდნენ და აღნიშნულ პროგრამაზე დანერგავდნენ ელექტრონულ საბანკო მომსახურების სწავლებას. სტუდენტებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებით პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან არცერთ ბანკს არ ეცალა იმისთვის, რომ მიეღო კადრი და მერე ესწავლებინა პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამაში შესწორებები უკვე გაკეთებული ჰქონდათ, ზოგიერთზე კი ამჟამად მიმდინარეობდა მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ როგორი იყო პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი, პროგრამას სჭირდებოდა ფინანსური მხარდაჭერა თუ იყო თვითკმარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა, რაც არსებობდა არასდროს შეჰქმნია პრობლემა ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ელექტრონული სწავლება იქნებოდა და სხვა საკითხებიც, გაიზრდებოდა შემოსავლები, თუმცა უნივერსიტეტში არსებობდა სოლიდარობის პრინციპი და ერთი პროგრამა მეორე პროგრამას ეხმარებოდა. უნივერსიტეტს ჰქონდა სხვა შემოსავლებიც, მაგალითად კვლევიდან და არა მხოლოდ სწავლების კომპონენტიდან, რომელიც მცირე იყო, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ გაიზრდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ ვინ აფინანსებდა იმ კვლევით ნაწილს და მაგისტრები რამდენად იყვნენ ჩართულნი კვლევით საქმიანობაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონკრეტული დამკვეთები უზრუნველყოფდნენ ფინანსურად, ხოლო მაგისტრანტები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რომ ექსპერტებმაც და თავად უნივერსიტეტმაც ახსენა, რომ ხელშეკრულებები და მემორანდუმები ჰქონდათ გაფორმებული სხვადასხვა უნივერსიტეტთან. რა იყო მიზეზი, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით მათ პრობლემა ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა, პირველი ის იყო რომ 99% სტუდენტების მუშაობდა. უნივერსიტეტებიდან ჰქონდათ შემოთავაზება, სადაც

უფინანსებდნენ საცხოვრებელ და სხვა ხარჯებსაც, მაგრამ ვერ მოახერხეს სტუდენტებმა წასვლა, თუმცა სამომავლოდ აპირებდნენ პროგრამის უფრო მეტად გაძლიერებას ინტერნაციონალიზაციის კუთხით და მეტი სტუდენტის გაშვებას. მეორე საკითხი იყო, უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე. სამომავლოდ ფიქრობდნენ, რომ აღნიშნულ პრობლემაზეც ემუშავათ და გაეძლიერებინათ ენის ცოდნა.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა სიტყვა გადასცა საბჭოს მოწვეულ წევრს გიორგი თურქიას.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია ჰქონდა კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. პირველი შეეხებოდა მიზნებს და აღნიშნა, რომ დასაკონკრეტებელი იყო გარკვეული მიზნები. კერძოდ, როდესაც ორიენტაციის მიზანზე იყო საუბარი ჯობდა თავიდანვე ჩამოყალიბებულიყვნენ ვის და რა პროფესიის ადამიანებს ამზადებდნენ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასევე, აღნიშნა, რომ უფრო რთული იყო ვიწრო სპეციალიზაცია აეყვანათ გარკვეულ ხარისხზე ვიდრე ზოგადად ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა. რაც შეეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რომ სასწავლო პროგრამაში ჩაერთოთ ის სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლაც საბანკო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის მნიშვნელოვანი იყო, თავადაც ეთანხმებოდა. არ შეიძლებოდა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე და შემდეგ საბანკო საქმის კვალიფიკაციაზე ადამიანი გასულიყო ისეთი მწირე არჩევანით.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ მცირე სავალდებულო- არჩევით ბლოკი მხოლოდ ორ სასწავლო კურს მოიცავდა, კერძოდ : ბიზნესის კვლევასა და გლობალურ ბიზნესს, ფაქტობრივად ის იყო საერთაშორისო ბიზნესი და მისი აზრით, დაბალანსებული უნდა ყოფილიყო საგნები შესაფერისი ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა გლობალურ ბიზნესს, ძალიან კარგი იყო, რომ ისეთი კუთხით ასწავლიდნენ საერთაშორისო ბიზნესს, მაგრამ იყვნენ გლობალისტებიც და ანტიგლობალისტებიც ბიზნესში და იგივე ამერიკის მაგალითი, რომ აეღოთ ამერიკა აპირებდა საწარმოები გადაეტანა სხვაგან. ამიტომ, გლობალიზაციის საკითხის კუთხითაც უნდა მიექციათ ყურადღება.

რაც შეეხებოდა საბანკო კუთხით სწავლებას, მისი აზრით, არარაციონალური იყო 15 პრაქტიკული ყოფილიყო საერთაშორისო ბიზნესში და 15 ბიზნესის შეფასებაზე, არ შეიძლებოდა ყველა საგანზე ერთნაირი პრაქტიკული დატვირთვა ყოფილიყო. რაც შეეხებოდა სავალდებულო სპეციალიზაციის საგნებს, მისი აზრით, ეკონომიკა იყო ქვაკუთხედი და ეკონომიკური საკითხებით უნდა ესწავლათ სტუდენტებს, რადგან საბანკო პროცესები იყო ეკონომიკურ პროცესებზე აგებული. ასევე, აუცილებელი იყო სტატისტიკისა და ალბათობის სწავლა რაც, საერთოდ არ ჰქონდათ. მისთვის წარმოუდგენელი იყო ბანკში ემუშავა ადამიანს სტატისტიკისა და ალბათობის საკითხების ცოდნის გარეშე. ასევე, ფინანსური აღრიცხვა იყო აუცილებელი ესწავლებინათ, რადგან ყველა ბანკის თანამშრომელს დასჭირდებოდა, საკრედიტო თუ საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, კორპორაციული ფინანსები და საერთაშორისო ფინანსური სტანდარტები ესწავლებინათ. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჰქონდათ საგანი ელექტრონული ბიზნესი და კარგი იქნებოდა იგივე საგანი საბანკო საქმეშიც ესწავლებინათ, რადგან საბანკო სფერო გადასული იყო უკვე ელექტრონული პროდუქტების შეთავაზებით. ასევე,

მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული მენეჯმენტი და ბანკის უსაფრთხოების საგანიც ესწავლებინათ. აქტუალური იყო პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები, სერვერზე დუბლირებები და სხვა. რაც შეეხებოდა ბიზნესის შეფასებას, დაშვების წინაპირობები არ ჰქონდათ და მისთვის წარმოუდგენელი იყო ფინანსური აღრიცხვის გარეშე ვინმეს ეს საგანი გაევლო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეროვნული ბანკის ანგარიშით საბანკო სექტორში იმ დროისთვის მუშაობდა 66 000 ადამიანი მხოლოდ საბანკო სექტორში და მას თუ დაამატებდნენ მიკროსაფინანსო და მსგავს საფინანსო ორგანიზაციებს საერთო დასაქმებულთა რაოდენობა იქნებოდა 100 000. სტაბილურობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი სექტორი იყო. ასევე, ასოცირების ხელშეკრულებით მთელმა საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ დაახლოვებოდნენ ევროპულ სტანდარტებს, რაც გულისხმობდა კვალიფიკაციის შესაბამისობას. მაგალითისთვის კი მოიყვანა, რომ ბანკის მართველს სულ მინიმუმ სჭირდებოდა მაგისტრის ხარისხი ევროპული სტანდარტების მიხედვით და იმ ხარისხის გარეშე ვერ განიხილებოდა საშუალო და მაღალ პოზიციებზე.

რაც შეეხებოდა გლობალიზაციის საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ის უფრო მომხრე გახლდათ ეკონომიკური ინტეგრაციის, რაც ქვეყნის პოლიტიკა იყო და როდესაც ამბობდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას გულისხმობდა აღნიშნული პროგრამის დაახლოებასაც. ეკონომიკის ნაწილში დაეთანხმა, რომ უჭირდათ და ცდილობდნენ ამ ნაწილში უფრო გაძლიერებას, რაც შეეხებოდა კორპორაციული ფინანსებს, ისწავლებოდა უნივერსიტეტში, მაგრამ სულ ცდილობდნენ, რომ ბაკალავრიატში ნასწავლი თემატიკა არ განმეორებულიყო. ბაკალავრიატში ისწავლებოდა აღნიშნული საგანი და გაფართოებული ფორმატით, ე.წ. 51 საათიანი გრაფიკით.

პროგრამის ხელმძღვანელმა მენეჯმენტსა და რისკების მართვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმით ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში შეზღუდულები იყვნენ და საერთო ჯამური რაოდენობა კრედიტებისა იმდენი არ იყო. ცდილობდნენ გაეფართოვებინათ არჩევითი საგნების ჩამონათვალიც.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ მიმართა ექსპერტებს კითხვით, თუ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები და მათი მეთოდოლოგია, როგორ იყო დაცული თუ ჰქონდათ გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა და ჰქონდათ თუ არა ბიბლიოთეკას წვდომა საერთაშორისო ბაზებთან.

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ მათ წარუდგინა სამაგისტრო ნაშრომები და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემა ყველგან შეინიშნებოდა, ამიტომაც ჰქონდათ აღნიშნული რეკომენდაცია დაწერილი, რომ ესწავლებინათ კვლევის მეთოდები სამაგისტრო დონეზე, აღნიშნული პრობლემა ზოგიერთ ნაშრომში შეინიშნებოდა. პრობლემა იყო უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობაც რაც, დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა უცხოენოვან უნივერსიტეტებთან, მაგრამ სტუდენტების ენის დაბალი დონისა და მათი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე ვერ ახერხებდნენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.
საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ, მიმართა დაწესებულებას, თუ როგორ უზრუნველყოფდა პრაქტიკის კომპონენტს უნივერსიტეტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი პრაქტიკას უზრუნველყოფდნენ კომერციულ ბანკებში და ასოციაციის ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ იკითხა თუ სტუდენტი იგივე ორგანიზაციაში იყო დასაქმებული ეთვლებოდა თუ არა პრაქტიკაში და თუ სხვადასხვა ორგანიზაციაში იყო მაშინ, როგორ ახერხებდა უნივერსიტეტი იმის ზედამხვედველობას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საათობრივი შეთანხმება ჰქონდათ და რადგან სტუდენტებიც ცოტა ჰყავდათ, ახერხებდნენ და მონიტორინგსაც ახორციელებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა თუ ჰქონდათ ანტიპლაგიატთან მიმართებით რაიმე პროგრამა, თუ არადა რა მექანიზმით მოწმდებოდა ნაშრომები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდათ პროგრამა და წინა წელს გამოიყენეს პირველად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, საბჭო აკრედიტაციის დებულების საფუძველზე კენჭისყრაზე დააყენებდა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს თავმჯდომარემ აქვე განმარტა, რომ საბჭო იზიარებდა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ასევე საბჭოზე მოწვეული პირის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და მიაჩნდა, რომ მათი გათვალისწინება გააძლიერებდა პროგრამას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2.შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, 020307
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით კვლავ თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:
- პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია ან ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდის სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევს სტუდენტთა კონტინგეტის გაზრდას;
- ბიზნესის ადმინსიტრირების მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭეებელმა სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება ორგანიზაციების, გარე გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან (მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები;
- სასწავლო უნივერსიტეტი მეტი ყურადღებით მოეკიდოს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტიურიენტების მიერ უცხო ენის ცოდნის შემოწმებას, რათა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტთა მიერ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა. მითუმეტეს, რომ პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალისტებს ამზადებს, რომელთა დასაქმებისათვის ინგლისური ენის კარგად ფლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება;

- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები. კერძოდ:

• სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა" სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსების მოდულიდან გადავიდეს სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსების მოდულში.

• სასწავლო კურსები „მმართველობითი აღრიცხვა და გადაწყვეტილებების მიღება", „ლიდერობა და განვითარება" და „ლოგისტიკა" სპეციალობის არჩევითი კურსების მოდულიდან გადატანილი უნდა იქნას სპეციალობის სავალდებულო მოდულში.

• აუცილებელია პროგრამაში, თუნდაც არჩევით კომპონენტში, შეტანილი იქნას სასწავლო კურსი „პერსონალის სტრატეგიული მართვა";

- სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას. კერძოდ, სასწავლო კურსების უმეტესობა დაშვების წინაპირობების გარეშეა;

- უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის;

- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რათა მასში ასახული იყოს თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;

- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს და გამოყენებულ კვლევის მეთოდებს;

- შემოღებული იქნას სამაგისტრო ნაშრომების გარე ექსპერტების მიერ რეცენზირების პრაქტიკა;

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ზმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით;

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარირერული განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით მხარდაჭერის გაძლიერება;

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები მათთვის იყო, მაგრამ ჰქონდათ თავიანთი ხედვები ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა უნივერსიტეტის დაარსების დღიდან და ეტაპობრივად განვითარდა. ასევე მან აღნიშნა, რომ ეს ერთადერთი პროგრამა არ იყო, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდებოდა და პარალელურ რეჟიმში სხვა სამაგისტრო პროგრამებიც ჰქონდათ, რამაც განაპირობა პროგრამის მოდერნიზაცია სხვდასხვა სახით სხვადასხვა პერიოდში. რაც შეეხებოდა იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირებასთან მიმართებაში იყო, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი პროგრამების შესწავლით და მათი ანალიზით ისინი გავიდნენ იმ სტრუქტურაზე, რაც ჰქონდათ წარდგენილი. ისინი ცდილობდნენ უფრო რეალისტური მიდგომა ჰქონოდათ. ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების უცხოენოვანი პროგრამა და მსგავსების გამორიცხვის თვალსაზრისით საბოლოოდ დატოვეს იმ სახით, რაც წარადგინეს საკრედიტაციოდ. დიდი ყურადღება დაუთმეს საერთაშორისო კომპანიების მენეჯმენტს საერთაშორისო წარმოებაზე, გლობალურ სივრცეზე, წმინდა სამეწარმეო იყო, ინოვაციური და მენეჯმენტის კუთხით წავიდნენ და ის ბლოკი უფრო ჩანდა პროგრამაში.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ლოგისტიკასთან დაკავშირებით, ძალიან კარგი იყო და აღნიშნა, რომ ლოგისტიკა ძალიან ფართოდ ჰქონდათ წარმოდგენილი და მომავალში მიეცემოდათ საშუალება, რომ მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა წარედგინათ, რომელიც მზად ჰქონდათ

უკვე და იქ ჰქონდათ ჩადებული. ამიტომ ამით გარკვეული რანჟირებები გააკეთეს იმასთან მიმართებაში და საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაშიც ლოგისტიკა არჩევით საგნად ჩადეს. მათ გლობალური ბიზნესი ჰქონდათ წარდგენილი საერთაშორისო ბიზნესში და ანტიგლობალურ საკითხებსაც ფართოდ ასწავლიდნენ. ლოგისტიკის ის ნაწილი მათ პროგრამაში არჩევით ნაწილში გაიტანეს და მიაჩნდათ, რომ ლოგიკური უფრო იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ უნდოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის აღნიშვნა კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. ბიზნესის კვლევის მეთოდები იყო ხელშეუხებელი ელემენტი და სტუდენტი თუ კვლევის მეთოდებს არ გაივლიდა ის სამაგისტრო ნაშრომს ვერც დაწერდა და ვერც დაიცავდა, ასევე აღნიშნა, რომ დიდი დოზით ასწავლიდნენ ბიზნესის კვლევის მეთოდებს მათ შორის მათემატიკური აპარატის გამოყენებით. ლიტერატურა კი, რომელიც ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდათ მითითებული და წყაროები, სადაც მეტი ყურადღება გამახვილებული იყო პრაქტიკულ მხარეზე და ქეისებზე.

რაც შეეხებოდა კვლევით ნაწილს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მთლიანად კვლევებისთვის იყო დათმობილი. ისინი ასევე სტუდენტებს სთხოვდნენ იმ სამეცნიერო ბაზებიდან მასალების მოძიებას, დამუშავებას და კრიტიკას. სხვა საკითხი იყო სტუდენტები ამას როგორ ახერხებდნენ, მაგრამ არ ნიშნავდა იმას, რომ მათ მოედუნებინათ ყურადღება, არც კი დაუშვებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხდა ექსპერტებს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის და აღნიშნა, რომ უფრო უკეთესად დაფიქრდებოდნენ და გაიზიარებდნენ ყველაფერს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა, მოწვეულ წევრ გიორგი თურქიას, რომ პროგრამასთან დაკავშირებით მისი პოზიცია დაეფიქსირებინა, რაზეც გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი აზრით, ბიზნესის ადმინისტრირების მოთხოვნებს პროგრამა უფრო აკმაყოფილებდა და უფრო ფართოდ იყო საგნები სხვადასხვა მიმართულებით წარმოდგენილი. თუმცა აღნიშნა, რომ უბრუნდებოდა თავის პოზიციას, რადგან საუბარი ბიზნესის ადმინისტრირებაზე იყო, სავალდებულო ბლოკი მხოლოდ ორი საგნით არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. აუცილებელი იყო იმ ბლოკში ყოფილიყო ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტი, მარკეტინგი და ასევე, ეკონომიკა. როგორც ბანკირებისთვის აუცილებელი იყო ეკონომიკური პროცესების გაანალიზება და ეკონომიკური ცოდნა, ისევე იყო საერთაშორისო ბიზნესზე. ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საერთაშორისო ეკონომიკა გადმოიტანეს საერთაშორისო ბიზნესად, რომლებიც სრულიად სხვადასხვა იყო.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, გიორგი თურქიამ, განმარტა, რომ საერთაშორისო ბიზნესში პირველ რიგში უნდა ესწავლებინათ ბიზნესის პროცესების ეფექტიანობა საერთაშორისო და გლობალური ინტეგრაციის კუთხით. ამიტომ სავალდებულო ბლოკი აუცილებელი იყო, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი გამოსულიყო. მისთვის, რომ ეკითხათ ორივე პროგრამას გააერთიანებდა და ერთი მძლავრი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ექნებოდა. შემდეგ კი კონცენტრაციების სახით იქნებოდა ჩაშლილი და თავად სტუდენტი შეიქმნიდა ზოგად ცოდნას და მათაც გაუადვილებდათ პროცესებს. მისი აზრით, აუცილებელი იყო პროექტების მართვა ესწავლებინათ, მითუმეტეს, რომ საერთაშორისო ბიზნესზე იყო საუბარი და მენეჯმენტის საგნები გარკვეულწილად ჰქონდათ წარმოდგენილი. რაც შეეხებოდა რისკების მართვას, აუცილებელი იყო დაწყებული პოლიტიკური რისკების მართვიდან დამთავრებული ფინანსური რისკების მართვით ესწავლებინათ.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ლოგისტიკა, საერთაშორისო ბიზნესში უნდა ყოფილიყო სავალდებულო და არა არჩევით ბლოკში, რადგან საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო საერთაშორისო ლოგისტიკა, ტრანსპორტირების დასაწყოება და ასე შემდეგ. ასევე, გიორგი თურქიას განმარტებით, სილაბუსებში რუსულენოვანი სახელმძღვანელოები ჰქონდათ მითითებული, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, რაც არ იყო სწორი. მისი მოსაზრებით, რუსი ავტორების პირადი ნაშრომები არ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ბიზნესის სწავლებაში სავალდებულო.

გიორგი თურქიას განმარტებით, დაწესებულებას რამდენიმე საგნის სილაბუსი არ ჰქონდა წარმოდგენილი, მაგალითად საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციები. ბიზნესი გლობალური საკითხი იყო და 15 საკონტაქტო საათში ესწავლებინათ საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები ძნელი წარმოსადგენი იყო. იმ კუთხით საგნის სწავლა აზრს კარგავდა. რაც შეეხებოდა ინგლისურ ენას, არჩევითში იყო და როგორ ასწავლიდნენ სილაბუსებით ვერ გაარკვევდნენ. მისი რჩევა იყო, რომ პრაქტიკაზე ყოფილიყვნენ ორიენტირებულნი და საერთაშორისო ეკონომიკისაგან განსხვავებული ყოფილიყო საერთაშორისო ბიზნესი, რომელშიც უნდა ესწავლებინათ, პროექტების, რისკების მართვა და ოპერაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს მოწვეულ წევრს და აღნიშნა, რომ ყველაფერს გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ამილახვარმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ბიზნესის მიმართულებით იმ ორი პროგრამის გარდა თუ ჰქონდათ კიდევ სხვა პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოქმედი არ ჰქონდათ, მაგრამ ამზადებდნენ კიდევ ერთ პროგრამას, რომელიც იყო ინგლისურენოვანი და კიდევ მზადდებოდა მარკეტინგის ქართულენოვანი პროგრამის შემოტანაც.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ბაკალავრიატში უფრო მეტი არჩევანი ჰქონდათ და სამაგისტროზე პირიქით, ამიტომ კარგი იქნებოდა იქ შეემცირებინათ და სამაგისტროზე უფრო მრავალფეროვანი გაეხადათ პროგრამები.

საბჭოს სხდომაზე 17:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:58 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, საბჭო აკრედიტაციის დებულების საფუძველზე კენჭისყრაზე დააყენებდა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს თავმჯდომარემ აქვე განმარტა, რომ საბჭო იზიარებდა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ასევე საბჭოზე მოწვეული პირის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და მიაჩნდა, რომ მათი გათვალისწინება გააძლიერებდა პროგრამას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3[2] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

3. შპს ახალი უმაღლეს სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვასილ კიკუტაძემ საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან დისციპლინები: მარკეტინგის მენეჯმენტი, მომხმარებლის ქცევა და ოპერაციების მენეჯმენტი გადავიდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში, ხოლო პროგრამის სტუდენტებისათვის დამატებით იქნეს შეთავაზებული ისეთი პრაქტიკული სასწავლო კურსები როგორიცაა: Exel ეკონომიკასა და ბიზნესში და საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა (ორისი);
- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განსაზღვრისას მეტად იქნეს გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსალოდნელი სწავლის შედეგების გაზომვადობის დონის ამაღლებას;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ დააწესოს მკაცრი კონტროლი პრაქტიკის დღიურის და ანგარიშის შესრულებისას პრაქტიკის სილაბუსში გაწერილი პარამეტრების დაცვაზე;
- რეკომენდებულია პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი სტუდენტთა მიღწევების შეფასების კომპონენტებში, მოხდეს შეფასების გამოყენებული ქულების ისეთი გრადაცია, სადაც ცხადი იქნება რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას;
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემაში სადაც ნაშრომის რეცეზენტი წერს მაქს. 60 ქულას, ხოლო საბაკალვრო ნაშრომის დაცვის კომისია მაქს. 40 ქულას, რეცენზენტის ნაცვლად ნაშრომის ხელმძღვანელმა გააკეთოს შეფასება, რადგანაც სწორედ ხელმძღვანელი უწევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს კოორდინაციას და სიღრმისეულად იცნობს საბაკალავრო ნაშრომს;
- რეკომენდებულია გააქტიურდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით ან მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში;
- რეკომენდებულია გრძელვადიან პერიოდში დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ მოკლედ მოახსენებდნენ იმ რეკომენდაციების შესახებ რაზეც იმსჯელეს.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლებელს ჰყავდა პროგრამაში მუდმივმოქმედი ჯგუფები ჩართული, პროგრამის განვითარებისათვის, რომლებიც მუდმივად აკეთებდნენ პროგრამის შეფასებას და მოდიფიცირებას. შესაბამისად შეიკრიბა ჯგუფი და იმსჯელა, რომ გაწეული რეკომენდაციები ნამდვილად წაადგებოდათ და ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარებას. რეკომენდაციების საფუძველზე რაც მოახერხეს ცვლილებები მოკლე ვადაში უკვე განახორციელეს, როგორიც იყო სასწავლო კურსების დამატება. ასევე ყველა რეკომენდაციას დაეთანხმნენ და გაითვალისწინეს პროგრამაში. სხდომის ანგარიშიც ჰქონდათ, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება. შესაბამისად მსვლელობა მისცეს რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხს, რასაც შემდეგში აკადემიური საბჭო განიხილავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა პროგრამის ან ფაკულტეტის ბიუჯეტში თუ იყო გათვალისწინებული პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის ხარჯები და რა კეთდებოდა ამ თვალსაზრისით, ასევე უცხო ენის ცოდნის რა დონე ჰქონდათ სტუდენტებს, რადგან შესაძლებელი იყო ხელს უშლიდა მის განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით საკითხები გაწერილი ჰქონდათ სამოქმედო გეგმებშიც და სტრატეგიაშიც, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. ასევე, აღნიშნა, რომ სასწავლებელს ჰქონდა ვარშავის უნივერსიტეტთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელიც ითვალისწინებდა გაცვლით პროგრამებს მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრებას. ასევე აღნიშნა, რომ გააფორმეს ვარშავის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან მემორანდუმი და დაახლოებით 52 ადამიანი (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია) იყო ლარნაკაში და ძალიან კარგი გაცვლითი პროგრამები შესთავაზეს. ასევე აღნიშნა, რომ ცდილობდნენ პროცესების გაუმჯობესებას, რაც ბიუჯეტშიც გაწერილი ჰქონდათ. ლარნაკაში წასული 52 ადამიანი სრულად იყო დაფინანსებული კოლეჯის მიერ. დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტები, რომლებიც ნიჭიერები და აქტიურები იყვნენ, საერთაშორისო პროგრამებზე, იტალიაში და მიუნხენში დააფინანსეს.

აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტმა თამარ აფრასიძემ აღნიშნა, რომ ტელეფონით ჩაერთვებოდა ერთ-ერთი ექსპერტი და სიტყვა გადასცა მას, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა რომან მამულაძემ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, უნდოდა თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა, რომელიც მისი აზრით ცალსახად გასაძლიერებელი იყო პროგრამაში. გაცვლით პროგრამებში უნდა ჩართულიყო კოლეჯი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვილნიუსში წერილი უკვე გააგზავნეს და სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად იქნებოდნენ მათი სტუდენტები ჩართულნი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა ორ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებას განსაზღვრულ ვადაში მოუწევდა ცენტრში ანგარიშის წარმოდგენა. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იყო მნიშვნელოვანი და მათი გათვალისწინება გააძლიერებდა პროგრამას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:30.
შესვენება განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლეს სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებამ ცენტრში 6 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ანგარიში, ასევე პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა გოგონაიამ განაცხადა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელება იყო მნიშვნელოვანი, ვინაიდან მისი მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მუსიკის მასწავლებლის მომზადება. ექსპერტმა რესურსცენტრში მისი მუშაობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ ძალიან უჭირდა საჯარო სკოლებს მუსიკის მასწავლებლები. იგი მიესალმებოდა პირადად იმ

პროგრამას და გამოყო სამი მნიშვნელოვანი მომენტი პროგრამის განხილვისას პირველი ის იყო, რომ პროგრამას ახორციელებდა კონცენტრატორი, მეორე პროგრამის განმახორციელებელი ადამიანები იყვნენ მაღალკვალიფიციურნი და პროგრამა ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი თანამშრომლობდა ოსლოს სამუსიკო აკადემიასთან, რომელიც ევროპაში აღიარებული იყო როგორც ლიდერი სამუსიკო განათლებაში პედაგოგიკის სფეროში, ასევე იგეგმებოდა მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა ქართულ ენაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირის პირობებში. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში მიუთითეს სილაბუსების განვითარების შესახებ, რაც ძირითადად ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც იყო სწავლების მეთოდები, შეფასების სქემა და სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებით საკითხიც ჰქონდათ გამოყოფილი. მათი ინფორმაციით სილაბუსები უკვე გადამუშავებული იყო და რეკომენდაციები გათვალისწინებული. შეფასების კომპონენტში იყო ერთი საკითხი, რომელიც ნაწილობრივ იყო გაზიარებული და მათი საუბრის შემდგომ დიდი იმედი ჰქონდა, რომ გაიზიარებდნენ მათ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს. პროგრამის ხელმძღვანელმა რუსუდან თაყაიშვილმა, აღნიშნა რომ მის სილაბუსებთან იყო რეკომენდაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო უკვე. რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების სისტემას, კერძოდ გრადაცია არ იყო კარგად გაწერილი და დასაბუთებული, რომელიც შეასწორეს.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა, იკითხა თავდაპირველი მონიტორინგის საფუძველი რა იყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათაც არ იცოდნენ და აღნიშნეს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩათვალა საჭიროდ განეხორციელებინათ მონიტორინგი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შეცვლა გახდა საფუძველი მონიტორინგის განხორცილების.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა, იკითხა რეკომენდაციები გაზიარებული იყო თუ არა, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაიზიარეს ყველა რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ მას მიჰყავდა ფსიქოლოგიის კურსი და აღნიშნა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო გრადაციებთან დაკავშირებით რეკომენდაცია, რადგან მათ ჰქონდათ, როგორც შუალედური, ისე საბოლოო გამოცდა ტესტური შემოწმებით. ტესტი გულისხმობდა 4 კითხვიდან ერთ-ერთის არჩევას, იმ შემთხვევაში სწორი ან არასწორი პასუხის მითითება იყო საჭირო. გაურკვევლობა წარმოიქმნა იმაზე, რატომ უნდა ყოფილიყო გრადაცია პასუხების.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ მათი ნებართვით პირდაპირ წაიკითხავდა დასკვნიდან ამონარიდს, კერძოდ: მიზანშეწონილად მიგვაჩნია ექსპერტთა პოზიციის დაზუსტება. საგნების სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის საფუძვლები - სილაბუსებში მოცემულია, რომ შუალედური შეფასება 40 ქულიანია, ხოლო დასკვნითი - 60

ქულიანი. შუალედური გამოცდის ტესტი შედგება 20 კითხვისგან, ოთხი სავარაუდო პასუხით. თოთოეული კითხვა ფასდება 2 ქულით. დასკვნითი შეფასების ტესტი შედგება 20 კითხვისგან, თითოეული კითხვა ფასდება 3 ქულით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისევ ამოიკითხა ამონარიდი: ტესტის თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან, როგორც წესი, მხოლოდ ერთია სწორი პასუხი, დანარჩენი სამი - არ არის სწორი და 0 ქულით ფასდება, ექსპერტთათვის ბუნდოვანი დარჩა, არჩევით პასუხიანი ტესტის შემთხვევაში, სწორი პასუხი, რომელიც მხოლოდ უნდა შეარჩიოს სტუდენტმა (ანუ სტუდენტი არ ახდენს პასუხის ფორმულირებას) რა ლოგიკით იმსახურებს 2 ქულის (შუალედური გამოცდა) ან 3 ქულის (დასკვნითი გამოცდა) მინიჭებას, შესაბამისად, მიზანშეწონილია პედაგოგის მიერ დაზუსტდეს, მაგალითად, შუალედური გამოცდის დროს, რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტი საკითხში 2 ქულას და შესაძლებელია თუ არა, მიიღოს 1 ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ქულას რაც შეეხებოდა სტუდენტი ვერ მიიღებდა 1 ან 2 ქულას. მეტს ან ნაკლებს მიიღებდა სწორად გაცემული პასუხებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სწორი პასუხები მათ თავად შეურჩიეს და დაუწერეს. იმ ოთხი სავარაუდო პასუხებიდან, სადაც ერთი იყო სწორი და დანარჩენი არასწორი. სტუდენტმა შემოხაზა პასუხი და იქ სამი ქულა, ორი ქულა როგორ უნდა დაწერილიყო ის გრადაცია იყო გაუგებარი. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ 0 ან 3 დაიწერებოდა იმ შემთხვევაში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ქულების არასწორი გამოყენებას ნიშნავდა ეს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:05 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია იყო ან გათვალისწინებული ან დაწესებულება უახლოეს მომავალში აპირებდა მათ გათვალისწინებას, მიზანშეწონილი იყო მონიტორინგის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტილიყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 19:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია